ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია

ოქმი N7 „23 "დეკემბერი, 2024 წელი.

სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე: ნიკა კორშია.

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის წევრები: [redacted], თორნიკე კირთაძე, [redacted], [redacted], [redacted], ნანა ვეკუა.

სხდომას ასევე ესწრებოდა:

1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სპორტის სამსახურის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი [redacted].
2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი გიორგი ჩიქობავა.

სხდომაზე გამოცხადდა და პროტესტის ნიშნად სხდომა დატოვა საკრებულოს წევრმა [redacted].

მოისმინეს: ინფორმაცია, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის დღის წესრიგის შესახებ.

დღის წესრიგი:

1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

2. „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში სპორტსმენთა ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 თებერვლის №6/5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

3. ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 7 ივლისის №14/18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დაადგინეს: დამტკიცდეს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე-6 წინააღმდეგი-0

მოისმინეს:

ინფორმაცია,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტის „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" **თაობაზე.**

დაადგინეს:

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა" ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ა" ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" 77-ე და 78-ე მუხლების შესაბამისად, საკრებულო უფლებამოსილია მიიღოს დადგენილების პროექტი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ". კომისიას დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სამართლებრივი შენიშვნა არ გააჩნია.

   რაც შეეხება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს სამართლებრივი აქტის პროექტის დასაბუთებასა და მიზანშეწონილობას, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა ეკისრება პროექტის ავტორს.

2. საკრებულოს წარედგინოს დასკვნა თანახმად დანართისა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე-4 წინააღმდეგი-2 ([redacted]).

მოისმინეს:

ინფორმაცია, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტის „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში სპორტსმენთა ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 თებერვლის №6/5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" **შესახებ.**

დაადგინეს:

1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საკრებულო უფლებამოსილია მიიღოს წარმოდგენილი დადგენილების პროექტი. რაც შეეხება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს სამართლებრივი აქტის პროექტის დასაბუთებასა და მიზანშეწონილობას, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა ეკისრება პროექტის ავტორს.
2. საკრებულოს წარედგინოს დასკვნა თანახმად დანართისა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე-6 წინააღმდეგი-0

მოისმინეს:

ინფორმაცია, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტის „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 7 ივლისის №14/18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” **შესახებ.**

დაადგინეს:

1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 24 ოქტომბრის N2/5/1545 გადაწყვეტილების შესაბამისად, საკრებულო უფლებამოსილია მიიღოს წარმოდგენილი დადგენილების პროექტი. რაც შეეხება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს სამართლებრივი აქტის პროექტის დასაბუთებასა და მიზანშეწონილობას, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა ეკისრება პროექტის ავტორს.
2. საკრებულოს წარედგინოს დასკვნა თანახმად დანართისა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე-5 წინააღმდეგი-1 ([redacted]).

იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
თავმჯდომარე **ნიკა კორშია**